წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის
ოქმი N5

ქ. წალენჯიხა 16 თებერვალი 2024 წელი
12:30 საათი

საკრებულოს ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე- **კორნელი სალია;**

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - **გიორგი დარსალია;**

საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე:

ფრაქცია „ წალენჯიხა საქართველოსთვის" თავმჯდომარე - **გონერი კვარაცხელია;**

საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეები:

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - **თემურ ქარდავა;**

სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - **რაისა ჩანგელია;**

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის

თავმჯდომარე - **ომარი ქარდავა;**

იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - **რომანი კვარაცხელია;**

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - **დათო მესხია;**

საკრებულოს ბიუროს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალიამ და ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1.ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

2.სხვადასხვა

მოისმინეს:1. ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალიამ ბიუროს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია მერიის მიერ ინიცირებული სამართლებრივი აქტების თაობაზე.

საკრებულოს ბიურომ გადაწყვიტა:

1.დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება შემდეგი სამართლებრივი აქტების მისაღებად:

ა) „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის N43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ბ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიისთვის მენტალური ჯანმრთელობის ცენტრის მუშაობის შესასრულებლად, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

გ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ბავშვთა მხარდაჭერის მუნიციპალური პროგრამის თაობაზე.

2. საკრებულოს კომისიების სხდომების გრაფიკი განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომა 19 თებერვალს 16:00 საათზე.

ბ) იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის სხდომა 16 თებერვალს 16:30 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე კორნელი სალია.